

გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი

ხშირად დასმული კითხვები (განახლებული)

1. რა თანმიმდევრობით უნდა მოხდეს პროექტის კონცეფციისა და წინასწარი ძიების განაცხადის წარდგენა?

პასუხი: თავდაპირველად კონკურსის ელ-ფოსტის მისამართზე (ar@rustaveli.org.ge) იგზავნება პროექტის კონცეფციის ქართული და ინგლისური ვერსიები PDF ფორმატში. აღნიშნული დოკუმენტების სრულად წარდგენის შემდეგ ფონდი მოგანიჭებთ საკონკურსო შიფრს ასევე ელ-ფოსტის მეშვეობით. ამის შემდეგ მინიჭებული შიფრი უნდა შეიყვანოთ საქპატენტის ბაზაში, წინასწარი ძიების განაცხადის შევსების დროს „გარე ნომრის“ ველში და დააფიქსიროთ თქვენი განაცხადი (იხ. [საქპატენტის წინასწარი ძიების ინსტრუქცია](#)).

საბოლოოდ, ფონდის კანცელარიაში მოგაქვთ დანართი 4 სახით წარმოდგენილი განცხადება. ზემოთაღნიშნული ეტაპების გავლის შემდეგ თქვენ ჩაითვლებით დარეგისტრირებულად კონკურსის I ეტაპზე.

2. საჭიროა თუ არა კონკურსის I ეტაპზე პროექტის კატეგორიის, ძირითადი პერსონალისა და კონსორციუმის წევრების განსაზღვრა?

პასუხი: არა, პირველ ეტაპზე საჭიროა მხოლოდ პროექტის ხელმძღვანელისა და წამყვანი ორგანიზაციის განსაზღვრა, ხოლო პროექტის კატეგორია, ძირითადი პერსონალისა და კონსორციუმის შემადგენლობა უნდა განისაზღვროს კონკურსის მეორე ეტაპზე საპროექტო წინადადებაში.

3. პროექტის კონცეფციის 4.3 პუნქტი გულისხმობს კონკურენტების აღწერას. რა იგულისხმება აღწერაში?

პასუხი: კონკურენტების აღწერა გულისხმობს კონკურენტ ორგანიზაციათა ან კონკურენტულ პროდუქტთა მახასიათებლების დასახელებას. უშუალო სახელწოდებების ჩამოთვლა სავალდებულო არ არის.

4. რას გულისხმობს ინტერდისციპლინური პროექტი?

პასუხი: ინტერდისციპლინურია პროექტი, რომელიც მოიცავს EURISTAT/OECD სამეცნიერო კლასიფიკატორით განსაზღვრული საბუნებისმეტყველო, ინჟინერია და ტექნოლოგიების, სამედიცინო/ჯანმრთელობის და აგრარული მეცნიერებების მიმართულებიდან მინიმუმ 2 მიმართულების ნებისმიერ კომბინაციას, ასევე დასახელებული მიმართულებებიდან ერთ-ერთისა და სოციალური ან ჰუმანიტარული მეცნიერებების კომბინაციას.

5. **სავალდებულოა თუ არა კონსორციუმის შექმნისთვის იურიდიული საფუძველი?**

პასუხი: კონსორციუმის შექმნა იურიდიულ საფუძველს არ საჭიროებს.

6. **შესაძლებელია თუ არა ძირითად პერსონალში წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაციის სახელით ჩავრთო ფიზიკური პირი, რომელიც არ არის აფილირებული ამ ორგანიზაციასთან?**

პასუხი: დიახ, შესაძლებელია. შეთანხმება რეგულირდება თავად ორგანიზაციასა და ფიზიკურ პირს შორის.

7. **შესაძლებელია თუ არა ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული ფიზიკური პირი, რომელიც ჩართულია ძირითად პერსონალში, იყოს კონსორციუმის წევრი სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციიდან?**

პასუხი: დიახ, შესაძლებელია.

8. **რა ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმა?**

პასუხი: ბიზნეს-გეგმის რაიმე კონკრეტული მოდელი კონკურსის პირობებში განსაზღვრული არ არის. ბიზნეს-გეგმის სტრუქტურა და შინაარსი წარმოდგენილი უნდა იყოს პროექტის ავტორების შეხედულებისამებრ.

9. **არის თუ არა შეზღუდვა ძირითადი პერსონალის თვითურ საგრანტო დაფინანსებასა და დამხმარე პერსონალის თვითურ შრომის ანაზღაურებაზე?**

პასუხი: არა, აღნიშნულ ანაზღაურებათა თვითურ ოდენობაზე შეზღუდვა არ ვრცელდება. მთავარია, ძირითადი პერსონალის თვითური საგრანტო დაფინანსებისა და დამხმარე პერსონალის თვითური შრომის ანაზღაურების ჯამური ოდენობა არ აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 50%-ს.

10. **კონსორციუმის წევრი ორგანიზაციებისთვის (გარდა სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი იურიდიული პირისა) მოთხოვნილი წლიური საგრანტო დაფინანსება აუცილებელია, რომ თანაბრად განაწილდეს?**

პასუხი: არა, აუცილებელი არ არის. მთავარია, არ გადააჭარბოთ 140 000 ლარიან ლიმიტს ერთი ორგანიზაციისთვის და 420 000 ლარიან ლიმიტს მთლიანი კონსორციუმისთვის.

11. **შესაძლებელია თუ არა (უცხოელი) კონსულტანტის ჩართვა პროექტში?**

პასუხი: არა, (უცხოელი) კონსულტანტის ჩართულობას კონკურსი არ ითვალისწინებს.

12. **წინასწარი ძიების განაცხადი როგორ უნდა შეივსოს ინგლისურად „საქპატენტის“ ბაზაში?**

პასუხი: აღნიშნული განაცხადის შევსება ინგლისურად სავალდებულო არ არის. ამასთან, თქვენ შეგიძლიათ, აირჩიოთ რომელ ენაზე შეავსებთ განაცხადს - ინგლისურად თუ ქართულად.

13. იმ შემთხვევაში, თუ საპატენტო განაცხადის წარდგენა პროექტის ფარგლებში არ იგეგმება, წინასწარი ძიების განაცხადის შევსება მაინც სავალდებულოა?

პასუხი: დიახ, სავალდებულოა ყველა შემთხვევაში (!). გაითვალისწინეთ, რომ წინასწარი ძიების ჩატარება არის კონკურსის შეფასების ნაწილი და არ არის დაკავშირებული საპატენტო განაცხადის შემდგომ წარდგენა/არ წარდგენაზე.